

სსიპ ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ გორის N9 საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ია ბჟალავა

ნუგზარ შატაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“

(გაკვეთილის გეგმა)

სათაური: „მოგზაურობა აფრიკაში“

საგანი : ქართული ენა და ლიტერატურა

კლასი: მე-9

სასწავლო მიზნები

- ❖ ნაწარმოების თემის, იდეის განსაზღვრა და სიღრმისეული წვდომა.
- ❖ პრობლემის იდენტიფიცირება, სინამდვილის რეპრეზენტაცია.
- ❖ ლექსიკური ერთეულებისა და სტილის თავისებურებაზე დაფიქრება.
- ❖ საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება ტექსტში წამოჭრილი ძირითადი პრობლემის მიმართ.

ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი

- ❖ ქართ. IX. 5. მოსწავლეს შეუძლია დისკუსიისა და კამათის სტრატეგიების გამოყენება.
- ❖ ქართ. IX. 6. მოსწავლეს შეუძლია პრობლემურ ან სადავო საკითხებზე სხვადასხვა თვალსაზრისის შემცველი მხატვრული და არამხატვრული ტექსტების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.
- ❖ ქართ. IX. 9. მოსწავლეს შეუძლია სადავო ან პრობლემურ საკითხებზე საკუთარი თვალსაზრისის წერილობით გადმოცემა; მოცემულ საკითხზე განსხვავებული შეხედულებების შეჯამება.

მედიაწიგნიერების მიზნები:

- კრიტიკული ანალიზი, მედიის მიერ სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება.
- სხვადასხვა მედიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის სანდოობის ანალიზი დაშეფასება.
- წინარე ცოდნის გააქტიურება
- დისკუსია
- სქემები

საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი:

https://www.youtube.com/watch?v=AV_W2Z2EXx8

<https://www.youtube.com/watch?v=Bg59BETZmME>

<https://www.youtube.com/watch?v=uI5g8Ad6MYc>

<http://kids.ge/articles/ბავშვის-უფლებათა-კონვენცია-ადაპტირებული>

ლექსიკონი	
ტერმინი	განმარტება
სეპარატიზმი	ეროვნულ უმცირესობათა სწრაფვა სახელმწიფოსაგან გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისაკენ
სლენგი	მეტყველების არაფორმალური, არასტანდარტული სახეობა, რომელსაც ახასიათებს ახლად გამოგონებული ან ახალი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვები და გამონათქვამები. გამოიყენება

	სხვადასხვა დაჯგუფებებში (პროფესიული, ასაკობრივი, სოციალური)
ექსპრესია	„გამოხატვა“-რაიმე განცდის, გრძნობის გამოხატვის ძალა,გამომსახველობა.
ექსპრესიული	ექსპრესიის ხასიათისა,გამომეტყველებითი, გამომსახველობითი.

ნუგზარ შატაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“

ია ბჟალავა

გაკვეთილის მიმდინარეობა:

მოსწავლეებმა შეისწავლეს ტექსტი ნუგზარ შატაიძის მოთხრობისა „მოგზაურობა აფრიკაში“. წინასწარ ჰქონდათ დავალებად მიცემული, ენახათ გიორგი ოვაშვილის მხ.ფილმი „გაღმა ნაპირი“.

გიორგი ოვაშვილის ფილმში „გაღმა ნაპირი“ მოქმედება 90-იანი წლების თბილისსა და აფხაზეთში ვითარდება. მთავარი გმირი აფხაზეთიდან დევნილი 12 წლის თედაა. დედასთან ერთად 7 წლის წინ იძულებით წამოვიდა, მამა ტყვარჩელში დარჩა. აფხაზეთის ომის დროს ყველაფერი დაკარგა: სახლი, ბავშვობა, მამა და მშობლიური კუთხე. თედოს არაფერი აქვს ოცნების გარდა და მხოლოდ ოცნების ასრულების სურვილი ამოძრავებს. იგი თბილისში ქოხმანში ცხოვრობს, ვულკანიზაციაში მოწაფედაა, ქურდობს კიდეც და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ პურის ფული იშოვოს. დედამისი ჯიხურში მუშაობს და სხეულის ვაჭრობითაც ირჩენს თავს. თედოს მეგობარი წუპაკაც ქურდია. ის და თედო თავისუფალ დროს ტოქსიკური წებოს ყნოსვაში ატარებენ, რის გამოც ჰალუცინაციებში „აფრიკაში მოგზაურობენ“. აფრიკული სიზმრები ერთადერთი ფერადი და თბილი გარემოა, სადაც ავიწყდებათ შიმშილი და ტკივილი.

<https://www.youtube.com/watch?v=uI5g8Ad6MYc>

1. **აქტივობა:** ნასწავლი ტექსტის კიდევ ერთხელ შეხსენების მიზნით, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს უპასუხოთ კითხვებს:

- ✓ სად ხდება მოქმედება? ვინ არის მოთრობის მთავარი პერსონაჟი?
- ✓ რატომ გამოექცა ბიჭი დედას?
- ✓ რა გადაწყვეტილება მიიღო თედომ?
- ✓ როგორ გამოიყურებოდა ბრძოლაგამოვლილი ტყვარჩელი?
- ✓

2. **აქტივობა:** ამის შემდეგ ვაჩვენებ დოკუმენტურ ვიდეომასალას „აფხაზეთის ომის უცნობი გმირები“:

ვიდეოში გავეცნობით აფხაზეთის ომის უცნობ გმირებს, გავიგებთ, მეომრების წინასაბრძოლო განწყობას, როგორი შემართებით, რწმენითა და გამარჯვების იმედით მიდიოდნენ საომრად.

<https://www.youtube.com/watch?v=Bg59BETZmME>

ვიდეოს ნახვის შემდეგ მოსწავლეები პასუხობენ კითხვებს:

- ✓ რამდენად საინტერესო იყო კადრები?
- ✓ დაეხმარათ თუ არა აღნიშნული კადრები ტექსტში აღწერილი მოვლენების უკეთ აღქმაში?

სავარაუდო პასუხები:

საინტერესო იყო, რადგან დოკუმენტური მასალის ნახვამ კიდევ უფრო მძაფრად განაცდევინა ტექსტში გადმოცემული პრობლემა.

3. აქტივობა: ბავშვების მიერ წინასწარ მომზადებული პრეზენტაცია „გალმა ნაპირი“

წარმოდგენილი ინფორმაციები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- რეჟისორი
- მთავარი როლის შემსრულებლები
- პრიზები
- ფოტომასალები

პრეზენტაციის შემდეგ დავსვამ კითხვებს:

- ✓ ვინ არის ფილმის რეჟისორი?
- ✓ ვინ ასრულებს მთავარ როლს?

სავარაუდო პასუხები:

ფილმის რეჟისორია გიორგი ოვაშვილი

მთავრ როლს ასრულებს თედო ბექაური

4. აქტივობა: ვაჩვენებ ფილმიდან რამდენიმე ეპიზოდს

ნუგზარ შატაიძის - „მოგზაურობა აფრიკაში“

<https://www.youtube.com/watch?v=CVKzXp1Zrpw&feature=youtu.be>

მოცემულ ფრაგმენტებში ასახულია თედოს დედის სასიყვარულო კადრები, საბურავების გამოცვლის, მანქანის გამტაცებლებთან დაპირისპირების, ენგურის ხიდზე მომხდარი მკვლელობისა და იძულებითი ცეკვის ეპიზოდები.

ფრაგმენტების ჩვენების შემდეგ ვსვამ კითხვებს:

როგორ ფიქრობთ, რატომ შეირჩა ეს კონკრეტული კადრები ?

სავარაუდო პასუხი: ეს ეპიზოდები ტექსტში არ გვხდება.

5. აქტივობა: შეავსონ სქემა

	ტექსტი	ფილმი
სათაური		
გარემოებები		
მთავარი პერსონაჟები		
პრობლემა		
რის მიღწევა უნდოდა მთავარ პერსონაჟს?		
როგორ გადაწყდა პრობლემა?		
თემა-იდეა		

6. აქტივობა: სქემის შევსების შემდეგ ყურადღებას გავამახვილებინებ კედლებზე გაკრულ ბარათებზე, რომლებზეც წერია ბავშვთა უფლებების კონვენციის რამდენიმე მუხლი: (6, 8, 22) ვსვამ კითხვას: იცნობდნენ თუ არა ამ დოკუმენტს? ბავშვები, სავარაუდოდ, დადებითად პასუხობენ. შემდეგ გაიმართება დისკუსია თემაზე:

როგორ გესახებათ პრობლემის გადაწყვეტის გზები?

დისკუსიის დასრულების შემდეგ ვთხოვ, შეავსონ ცხრილი - პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრის მიზნით ვთხოვ მიანიქონ ქულები (1, 2, 3, 4). ვის უფრო მეტი პასუხისმგებლობა ენიჭება? რომელსაც მეტ პასუხისმგებლობას ანიჭებთ, აღნიშნეთ ციფრით - „1“ ... და ა.შ.

ოჯახი	სახელმწიფო	სამოქალაქო საზოგადოება	სკოლა

7.აქტივობა: მეტი თანაგრძნობისა და ემპათიის გამოწვევის მიზნით, ვაჩვენებ ჩემ მიერ მომზადებულ მედიარესურსს „გზა ხსნისა“

<https://www.youtube.com/watch?v=GlcgT8avga4>

მასალაში ასახულია მიუსაფარი, ქუჩაში დარჩენილი ბავშვების მძიმე ყოფის ამსახველი ფოტოები, ამონარიდები ბავშვთა უფლებების კონვენციიდან. მუსიკალურ ფონად გასდევს გია ყანჩელის ნაწარმოები „სევდა“.

8. აქტივობა: შემაჯამებელი მინილექცია

ნუგზარ შატაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“ და გიორგი ოვაშვილის „გაღმა ნაპირი“ ერთ-ერთ ყველაზე ატულურ თემას ეძღვნება: აფხაზეთის ომის ტკივილიანი ისტორია და საზოგადოების გულგრილობა, ინდიფერენტული დამოკიდებულება, რომელიც მოზარდის ცხოვრების ტრაგიზმის გამომწვევია მიზეზია. ძალიან მნიშვნელოვანია ნაწარმოების ეკრანიზაცია, რა თქმა უნდა, მწერალს თავისებური ხედვა აქვს, ხოლო რეჟისორის წარმოსახვა უფრო ვიზუალურია, რეჟისორმა შესაძლოა, ცვლილებები შეიტანოს; ნაწარმოების ზოგიერთი ეპიზოდი კადრს მიღმა დარჩეს ან, პირიქით, დაამატოს კიდეც. ამის მაგალითიც გვხვდება, თუნდაც სათაურის განსხვავებულობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ორივე შემთხვევაში

მთავარი სათქმელი ცალსახაა - ომის უმძიმესი შედეგებისა და საზოგადოების გულგრილობის მსხვერპლის, ბავშვობადაკარგული მოზარდის ტრაგედიის ჩვენება. საინტერესოა ნაწარმოებში გამოყენებული ლექსიკა, სლენგი. სწორედ ეს სიტყვები ქმნიან ხასიათს, კოლორიტს. თხრობას კიდევ უფრო მეტ ბუნებრიობასა და ემოციურობას ანიჭებენ. ამიტომაც გამოირჩევა ნაწარმოები განსაკუთრებული ექსპრესიულობით.

9. აქტივობა: მინილექციის შემდეგ კიდევ ერთხელ ვსვამ შემაჯამებელ კითხვებს:

შეკითხვა	სავარაუდო პასუხები
რატომ უწოდა მწერალმა მოთხრობას „მოგზაურობა აფრიკაში“	მოთხრობის მთავარი პერსონაჟები ტოქსიკური წებოთი თრობისას ჰალუცინაციებით „აფრიკაში მოგზაურობენ“, აფრიკული სიზმრები ერთადერთი თბილი გარემოა, რომელიც ცხოვრების სისასტიკეს ავიწყებთ.
„იმ ღამით უამრავი ცხოველი მოვიდა...“ რისი თქმა სურს ავტორს ამ ფრაზით?	ცუდი რეალობის მიუღებლობა თედოს აიძულებს, ისევ დაუბრუნდეს ძველ ცხოვრებას- მიემალოს ტოქსიკურ წებოს.
ფილმში არის ისეთი ეპიზოდები, რომლებიც ტექსტში არ გვხვდება(თედოს დედის ურთიერთობა უცხო მამაკაცთან, ენგურის ხიდთან ახალგაზრდა ბიჭის მოკვლა მესაზღვრეების მიერ, თედოს იძულებითი ცეკვა..) როგორ ფიქრობთ, რატომ ჩართო ეს დეტალები რეჟისორმა?	რეჟისორისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფილმის ვიზუალური მხარე, ამავდროულად, სათქმელის მეტი დრამატიზება და გამმაფრება.
თქვენ ნახეთ ფილმი „გაღმა ნაპირი“ და „აფხაზეთის ომის უცნობი ბიჭები“. რა მსგავსება-განსხვავებაა მთ შორის?	ორივე აფხაზეთის ომის თემას ეხება, ხოლო განსხვავება ისაა, რომ ერთი მხატვრული ფილმია, ხოლო-მეორე დოკუმენტური, რეალური ფაქტებია ასახული.

10. აქტივობა: კლიპი „აფხაზეთო ჩემო“

კლიპის ჩვენების შემდეგ ვაძლევ დავალებას „ხუთწუთიანი წერა“- გადმოცემით
კლიპის ნახვით გამოწვეული ემოცია

https://www.youtube.com/watch?v=AV_W2Z2EXx8

შეფასების რუბრიკა

	კი	არა	ნაწილობრივ
გასაგებად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს ნუგზარ შატაიძის მოთხრობის „მოგზაურობა აფრიკაში“ და გიორგი ოვაშვილის მხ. ფილმის „გაღმა ნაპირის“ შესახებ.			
შეუძლია სხვადასხვა მედიარესურსის კრიტიკულად აღქმა, ფაქტებისა და მოვლენების ანალიზი და ტექსტთან დაკავშირება.			
შეუძლია მედიაგზავნილის ანალიზის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების წერილობით გადმოცემა			
მსჯელობს ტექსტში დასმულ პრობლემებზე და გამოაქვს ადეკვატური დასკვნები, შეუძლია პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული ვარიანტის შემოთავაზება.			

გამოყენებული მედიარესურსები:

<http://geoelite.ge/print:page,1,56-gaghma-napiri-90-iani-tslebis-thbilisi-da-afkhazethi.html>

<https://www.youtube.com/watch?v=Bg59BETZmME>